ავეჯის მწარმოებელი კომპანია „რანდი“

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 22 ნოემბერი, 2013 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სახელოვნებო სწავლების, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლების და პრაქტიკული განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ავეჯის მწარმოებელი კომპანია „რანდი“ თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით და სასწავლო საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- ერთობლივი კულტურულ-შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას;
- სტუდენტთა პრაქტიკის ხელშეწყობას;
- ავეჯის მწარმოებელი კომპანია „რანდი“-ს სპეციალისტთა მიერ რეკომენდაციების, კონსულტაციების, სასწავლო პრაქტიკისა და შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- დიზაინის სპეციალობების სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას, წარმოების პრაქტიკული საფუძვლების გაცნობასა და დაუფლებას;

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას სახელოვნებო განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. მხარეები განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).

1.3. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) საგანმანათლებლო პროგრამების სახელოვნებო პროფესიულ მოთხოვნებთან ადაპტაციის, დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.5. ავეჯის მწარმოებელი კომპანია „რანდი" საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ხელს შეუწყობს სტუდენტების სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის გავლას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

შპს „რანდი"-ს
დირექტორი ა. თევდორაძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ე. მესხია

ბათუმი, ი. გოგებაშვილის ქ. № 62
ტელ: + 995 (422) 27 23 98
ელ. ფოსტა: randis.aveji.5@facebook.com
ვებ-გვერდი: www.randi.ge

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. № 37
ტელ: 593325796; 279895
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge